სამშაბათი. 1918 წ. ენკენისთვის 24 № 176
ერთიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რძ. ზზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

ბაქოსა და ნავთის წარმოების რაიონში ნორმალური ცხოვრება აღსდგა.

ადერბეიჯანის მთავრობამ 50,000 მანეთი გადასდო ქართველების დასახმარებლად.

პურის მყიდველ რწმუნებულს ვ. არდიშვილს მთავრობამ დაავალა სასურსათო საბჭოს მიწვევა.

მანგლისის მცხოვრებლები მთავრობას მორჩილებას უცხადებენ და იარაღს აბარებენ.

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ნინო, ძმები რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო და ძმის წული სერაფიმ მირიანაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკა და სიდედრი ანანა კარდენახლიშვილები, ბიძაშვილი შაქრო მირიანაშვილი, სიძე გიორგი და ბიძაშვილი საშა შოშიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

ნიკოლოზ მალაქიას ძე მირიანაშვილი

გასვენება მიცვალებულისა სამშაბათს, 24 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ბაგრატიონის ქუჩა, საკუთ. სახ. № 14, ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(1—1776—1)

ტრაღიკულად აღსრულებულის პორტრეტი

დათიკო ფერეთლის

მშობლები გულითად მადლობას სწირავენ ყველას, ვინც მათ ამ დიდი უბედურების გამო სიტყვით, წერილობით თუ დეპეშით თანაგრძნობა და სამძიმარი გამოუცხადა. 1—1772—1

იოსებ რევაზის ძე ფალავანდიშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 24 ამ თვეს ვერის ხმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი მისი დაუვიწყარი შვილების

არჩილ და ნინოს

სულის მოსახსენებლად.
დასაწყისი წირვისა 10 საათზე დილ. 1—1

უნუგეშონი ავქსენტი გიორგის ძე შვილებ. თ, შალვა, არჩილი, გიორგი აბესაძენი, ქეთევან ფეოდოროვისა და კნ. ევგენია აბაშიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და დანარჩენი დედისა

დარეჯან ზაქარიას ასულ აგესაძისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ბინაზე (არაგვის ქუჩა № 7). გამოსვეხება ოთხშაბათს, 25-ს დილის 10 საათზე კალოუბნის ეკლესიაში. 2—1777—1

ხუთშაბათს, ენკენისთვის 26 ჩესდგება

ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტია და მოწაფეთა

კონფერენცია

თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია

ამით აცხადებს ქართველ მშობელთა საყურადღებოთ, რომ გაეროვნებულ მოსამზადებელ კლასის ყველა განყოფილებებში თავისუფალი ადგილია. თხოვნების მიღება გაგრძელდება 1 ღვინობისთვემდე.

2—999—1 დირექტორი **ილ. ლორთქიფანიძე.**

მისაღები გამოცდები

თბილისის რეალურ სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ ოთხ კლასში გაგრძელდება. სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. 1—1778—1

გრძოლა კონსტიტუციისათვის

ეროვნულ საბჭოს კომისიამ შეიმუშავა და დაარიგა კიდეც დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა. თუ რაიმე მოულოდნელმა დაბრკოლებამ ხელი არ შეგვიშალა, მომავალი წლის პირველ ნახევარში ალბად შეიკრიბება საქართველოს დამფუძნებელი პარლამენტი, რომელმაც ჩვენს სახელმწიფოს ორგანიული კანონი ანუ კონსტიტუცია უნდა მისცეს. იმ დროისათვის ჩვენს ახალგაზდა სახელმწიფოს თითქმის მთელი წლის ისტორია ექნება. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნება ერთგვარი კონსტიტუციური ტრადიციები, რომელსაც დღევანდელი სოციალისტური საბჭოს შემოქმედების ბეჭედი ესმება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ანგარიში გაუწიოთ ამ ტრადიციებს, მაგრამ რადგან დღევანდელი საბჭო უფრო წინასწარი პარლამენტია, ვიდრე ნამდვილი წარმომადგენლობითი დაწესებულება, რადგან მის მიერ მიღებულ კანონებს ხშირად უფრო დროებითი ხასიათი აქვს, უეჭველია, რომ დამფუძნებელს კრებას თითქმის თავიდანვე მოუხდება საკონსტიტუციო მუშაობის დაწყება.

დიდის ხალისით ჩაებმება საარჩევნო ბრძოლაში ეროვნული-დემოკრატია. უკანასკნელმა საერობო არჩევნებმა ჩვენი უთამამესი იმედები გაამართლა. ამ არჩევნებისათვის არ ვიყავით სათანადოდ მომზადებულნი: ვფიქრობდით, რომ დღევანდელ პირობებში, როცა პროვინციაში ჯერ კიდევ ანარქია არ დამცხრალა, შეუძლებელია ნორმალური არჩევნების მოხდენა და ნამდვილი თვითმართველობის შექმნა. მხოლოდ ძალთა გაზომვისათვის ჰქონდა საერობო არჩევნებს არსებითი მნიშვნელობა. ამ თავისებურმა გენერალურმა რეპეტიციამ დაამტკიცა, რომ დიდად შერყეულია სოციალისტური უმრავლესობის ბატონობა. თითქმის ყველგან ეროვნულ-დემოკრატიას გაერთიანებულ სოციალისტურ ბლოკთან მოუხდა შეჯახება. ამ უკანასკნელის მხარეზე იყო ხანგრძლივი წლების ტრადიცია, ფინანსიური და ორგანიზაციული ძალა. გამოყენებულ იქმნა მთავრობის მთელი აპარატი და ალაგ-ალაგ ჩადენილ იქმნა მრავალგვარი ძალმომრეობა, რომლითაც არჩევნების ფალსიფიკაცია შეიძლება. ამისდა მიუხედავად ახალგაზრდა ეროვნული დემოკრატია ალაგ-ალაგ გაუთანასწორდა თავის ხნიერ მოწინააღმდეგეს, ალაგ-ალაგ ის სასტიკადაც დაამარცხა. სოციალისტურ უმრავლესობას შერჩა მხოლოდ სოფელი, რომელიც ჯერ კიდევ ელის, რომ მთავრობა შესძლებს მიწის საკითხის გადაჭრას.

გავიხსენოთ რავდენად ჩქარია დღეს ცხოვრების ტემპი და წარსულის გაკვეთილიდან შესაფერი დასკვნა გავაკეთოთ. თუ აგრარული რეფორმა დამთავრდა, სოციალისტურ მთავრობას დაეკარგება არსებობის რეზონი, თუ ეს რეფორმა გაჭიანურდა, სოფლის დემოკრატია მას ზურგს შეაქცევს. ყოველს შემთხვევაში სოციალისტური უმრავლესობის დღეები დათვლილია საქართველოში. მოსალოდნელია, რომ დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია გაჩაღდება არა დემაგოგიური სოციალისტური ლოზუნგებისა, არამედ ძირითადი კონსტიტუციური საკითხების გარშემო. ფედერალისტები ცენტრალისტებს შეეჯახებიან. გაჩნდებიან ფარული ან ნიღაბ-ახდილი მონარქისტები, რომელნიც რესპუბლიკური წესწყობილების შეცვლას შეეცდებიან.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მომავალ ცხარე პოლიტიკურ ბრძოლაში გადამჭრელს როლს დღევანდელი ეროვნული დემოკრატია შეასრულებს. ჩვენ ცენტრალური ადგილი გვეკავება. როგორც უკიდურესი მემარცხენე ისე უკიდურესი მემარჯვენე რაზმები იძულებულნი იქნებიან თავიანთი წინდაუხედავი და ნერვიული ნაბიჯები ბოლოს ჩვენ მტკიცე და მეთოდიურ მსვლელობას შეუფარდონ. ჩვენის მხრით შეეცდებით გავანელოთ ჩვენი თანამგზავრების დოგმატიური ფანატიზმი და წოდებრივი ეგოიზმი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ხომალდი ავაცილოთ როგორც სოციალისტური უტოპიის ნისლოვან კუნძულებს, ისე რეაქციის სალს კლდეებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოებრივი რეზონით და პატრიოტული ინსტიქტით ვიხელმძღვანელებთ: ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ერის ბიოლოგიური და კულტურული ენერგია განსაზღვრულია და ჩვენ არ ძალგვიძს ცხარე სამოქალაქო ომების ატანა.

ასეთს პირობებში ჩვენი კონსტიტუციური შემეცნებისა დ იდეალების გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. უწინარეს ყოვლისა უნდა გავფანტოთ ზოგიერთი ტენდენციური ცნობები, რომელთაც ჩვენი მოწინააღმდეგენი განგებ ავრცელებენ ჩვენს შესახებ. ეროვნულ საბჭოს სხდომაზე, მთავრობის დეკლარაციის გარჩევის ფარეს ბ. ნოე ჟორდანიამ სთქვა, რომ სოციალისტურ უმრავლესობის იდეალს შვეიცარიის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს, ოპოზიციის იდეალს კი პრუსიის ან ავსტრია-ჰუნგრეთის მონარქია. კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ ამ დებულების მეორე ნახევარი სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ეროვნულ დემოკრატიას არ სურს საქართველოში ჰაბსბურგთა ან ჰოჰენცოლერნთა რეჟიმის გადმონერგვა. ორი ძირითადი პრინციპი ყოველგვარ პირობებში შეურყეველია ეროვნულ დემოკრატიისათვის. საქართველო უნდა დარჩეს დემოკრატიულ სახელმწიფოდ: ეს იმას ნიშნავს, რომ ის საყოველთაო საარჩევნო უფლების სისტემას უნდა დაეყრდნოს. საქართველო უნდა გადაიქცეს უფლებრივ სახელმწიფოდ: ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი, მოსამართლე და კანონმდებელი ძალა ნათლად უნდა გაიმიჯნოს და როგორც პირველი, ისე მეორე უკანასკნელს დაექვემდებაროს.

მაგრამ თუ ჩვენთვის პრუსიისა თუ ავსტრია-ჰუნგრეთის ტიპის მონარქია ყოველს შემთხვევაში მიუღებელია, ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ შვეიცარიის კონფედერაცია მიგვაჩნდეს უმაღლეს იდეალად. არა მარტო იმიტომ, რომ პოლიტიკური ცენტრალიზმის მომხრენი ვართ და საქართველოსთვის დამღუპველად მიგვაჩნია თვითეული კანტონის, თვითეული პროვინციის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადება. შვეიცარიის კონსტიტუციას სხვა დამახასიათებელი მხარეებიც აქვს, რომელიც მიუღებელი ან სათუოა ჩვენთვის. როგორც ცნობილია იქ არ არსებობს დამოუკიდებელი აღმასრულებელი ძალა პრეზიდენტის სახით, არ არსებობს აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე; არც ერთს კანტონში ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილი არ არის; ზოგიერთ მცირე კანტონში მიღებულია პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა, ნაშთი პირველყოფილი თემური წესწყობილებისა. ბოლოს შვეიცარია მუდმივ ნეიტრალური სახელმწიფოა.

შეიძლება თუ არა, რომ საქართველომ მიზნად დაისახოს მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა მას შემდეგ, რაც მან თავისი საუკეთესო ნავთსადგური და თავისი უძველესი პროვინციები დაჰკარგა? ეს იქნებოდა ნებაყოფლობითი კასტრაცია, შეუფერებელი ახალგაზრდა, ჯანსაღი, იმედიანი დემოკრატიისათვის. ამ გზით მაინც ვერ მოვიპოვებდით იმ წყნარ და შეუშფოთებელ მშვიდობიანობას, რაიცა ჩვენი ინტერნაციონალისტების დაუსრულებელ სიზმარს წარმოადგენს. ჩვენი სამშობლო გარშემორტყმული ციხესიმაგრეა. უჯიათი და ძვალმაგარი მეზობლები ჩვენი სახელმწიფოებრივი კედლების შემონგრევას და ჩვენი მიწა-წყლის დაპატრონებას ლამობენ. ასეთ პირობებში საკმაო არ არის ძლიერი ლაშქარი. საჭიროა აგრეთვე ძლიერი, დამოუკიდებელი აღმასრულებელი ძალა, რომელიც პასუხს აგებს რესპუბლიკის საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე, მაგრამ სავსებით შეზღუდული არ იქმნება ქვეყნის დაცვის საქმეში...

ჩვენ გვგონია, რომ ქვანახშირისა, შავი ქვისა და სპილენძის ქვეყნის პოლიტიკური ბედი არ შეიძლება ზედმიწევნით შოკოლადისა და საათის წარმოების ქვეყნის ბედს დაემსგავსოს. კავკასიის მთებში უფრო ხშირად გაისმის ჭექა-ქუხილის ხმა და ჩვენში არ არის ალპიური ვარდები. მოსალოდნელია, რომ სოციალური წინააღმდეგობა ჩვენში უფრო ღრმა იქნება, ხოლო კლასთა ბრძოლა უფრო ძლაფი ვიდრე ეს შვეიცარიის რესპუბლიკაშია. ნახევარი წლის გამოცდილებამ დაამტკიცა კიდეც, რომ საქართველოს უფრო შეეფერება პარლამენტარული რეჟიმი, სადაც აღმასრულებელი ძალა პარლამენტის უმრავლესობის ნების-ყოფის გამომხატველია.

მაგრამ სოციალურმა ბრძოლამ და პარტიულმა მეტოქეობამ რასაკვირველია არ უნდა შეარყიოს ეროვნული მთლიანობის იდეა. ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ ხელახლა აღსდგება მტკიცე მორალისა და განათლების ავტორიტეტი, რომელიც დიდათ შეიბღალა უკანასკნელს დროს. თანამედროვე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის იდეური ინტელიგენცია ყველაზე ნაკლებ არის გამსჭვალული წოდებრივი ეგოიზმით და ყველაზე უანგაროდ იცავს სახელმწიფოებრივ ინტერესს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც არ უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, ქართველი დემოკრატიის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში ეკუთვნის არა „ბოგანო გლეხობას“ და არა მკვდრეთით აღდგენილ „თავად-აზნაურულ საკრებულოებს“, არამედ იმ ფართო საშუალო წრეებს, რომელიც ან გონებრივი, ან ქონებრივი კაპიტალითაა აღჭურვილი.

გერონტი ქიქოძე.

განწმენდის გზით

ჩვენი მიმართულების იდეოლოგიური ცხოვრება ოთხი წელიწადია რაც დაიწყო. მისი ორგანიზაციული დაწყობა კი—სულ რაღაც ერთი წელიწადია. პირველი მოსდა სოფლიო ომის პირველისავე წლის განმავლობაში, მეორე—რევოლიუციის ქარიშხალის პირველ ამოვარდნის დროს. მთელი ეს პერიოდი სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების ჯერ შევიწროებისა და მერე ანარქიული აშლის პერიოდია, როგორც რუსეთსა, ისე საქართველოში. კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივ-იდეოლოგიური შენობა იყო უაღრესად სოციალისტური და ინტერნაციონალისტური.

ეროვნება და ეროვნული არ არსებობდა ქართველის შეგნებაში, როგორც ძირითადი ნორმა არარაობიდან საქართველოს სახელმწიფოს აღმოზიდვის. კერძო საკუთრება—ძირითადი საფუძველი ქართველი ხალხის სამეურნეო შრომისა—მავნე ინსტიტუტად გამოცხადდა და ბრძოლა დაუწყეს. ამგვარად, საქართველოს სხეულიდან იდეოლოგიურად აღმოკვეთეს ცნება ეროვნება და ცნება საკუთრება. დაიმარხა ცოცხალი და ხორცშესხმული ორგანიზმი და საქართველოს დოსტაქრებს მისგან ხელში ერთი-ღა ლანდი შერჩათ, მარტოოდენ აბსტრაქცია.

რეალური საქართველო და იდეოლოგიური საქართველო ერთი მეორეს ზურგ-შექცევით დაუდგა, რამაც ბევრი და ბევრი უბედურება წარმოშვა.

ასე რთულად იყო აწეწილი საერთოდ რუსეთისა და კერძოდ საქართველოს ცხოვრება, როდესაც ჩვენ გამოვედით. ეროვნება და საკუთრება ქვაკუთხედათ დავისახეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. როგორც სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ოპოზიციამ, ჩვენმა იდეოლოგიამ საქართველოში დიდი გამოხმაური მიიღო. ხალხი გარსშემოვვადგა და მოგვეყვა. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ამ პარტიულ მასიდან ვინ ერთ დებულებას აქცევდა ყურადღებას, ვინ მეორეს, პირადი შეგნებისა და ინტერესის მიხედვით. ცნობილია, რომ ერთი და იგივე ფაქტი, თუ პრინციპი სხვადასხვანაირ ემოციას, წარმოდგენასა და აზრს იწვევს სოლმე ადამიანში და სხვადასხვანაირ ლოლიკურ დასკვნამდინაც მიჰყავს იგი. ამის სეკრეტი პიროვნების ინდივიდურ ორგანიზაციაში მარხია. შეუძლებელი იყო, ჩვენი მიმართულების მთავარ დებულებებზე სხვადასხვა ზრახვის, წარმოდგენის და მიზნის ხალხი არ შემდგარიყო და. ჩვენს საერთო მიმდინარეობაში არ მოქცეულიყო. მაგრამ იდეოლოგიურად ხელმძღვანელი წრე ამ მოვლენას ვერ შეამჩნევს და მასზედ ზედმოქმედებას ვერ მოახდენს, ვიდრე იგი მოვლენა მოქმედების ფაზაში არ გადავა და გარეთ არ გამოცხადდება. ჩვენი ორგანიზაციული ცხოვრების სიმოკლე და აღნიშნული სოციალ-პოლიტიკური სირთულე ამის საშუალებას არ იძლეოდა. ყველა ამის მიზეზით, ჩვენს იდეოლოგიურ კონსტრუქციას და პარტიულ შენობას მოსდევდა ბევრი მარქაფა ხალხი. საქართველოს დამოუკიდებლობის დამყარებამ ძირიანად გადაატრიალა ქართველი ერის წარმოდგენა და სინამდვილე. პრაქტიკულად მოიხსნა საქართველოს ეროვნული საკითხი, როგორც პოლიტიკური ძიებისა და მიღწევის საგანი. მანვე ხელი შეუწყო ქართველი საზოგადოების დანაწილებას ნივთიერი და პოლიტიკური ინტერესების მიხედვით და ამ მხრივ გაამარტივა შინაური თვითგამორკვევა. ეხლა დასანახი გახდა, რისი შემჩნევაც წინათ შეუძლებელი იყო.

ამ მარქაფა ხალხის ზრახვამ, წარმოდგენამ და მიზანმა თავ-თავისი კონტური მიიღო. ჩვენი მიმართულების დებულებათა თავისუფალი ინტერპრეტაცია დღეს სარფა გამოდგა და ამ ხალხისათვის და ჩვენს პარტიულს ცხოვრებაში მთავარ და ძირითად მიმდინარეობის გვერდით შემოილანდა იმპერიმის ქვეშ, მეორე ნაკადი, როგორც ითქვა, კონტრაბანდით შემოხიზნული. ამგვარად, პარტიულ დედა-კალაპოტში თავი მოიყარა მოპირდაპირე და ერთი მეორის გაბათილებულმა იდეოლოგიურმა, ტემპერამენტულმა და მოქმედებითმა ენერგიამ.

მოპირდაპირე პარტიები და გარეშე ძალები ჩვენთვის უვნებელი იყვნენ. სინამდვილემ ისინი დაამარცხა; თითქმის არც ერთი პრინციპი და არც ერთი იდეოლოგიური დებულება მათ ცოცხალი არ გადაურჩინა. ჩვენი განვითარების შემყენებელმა ძალამ თვით ჩვენს წრეში დაიბუდა. ამას გრძნობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პარტიის ცოცხალი და მოზარდი ორგანიზმი და არა ერთხელაც აბორგებულა კიდევაც რომ ჰაერი გაეწმინდა და სალის ფილტვებით ესუნთქა.

დღემდის ეს მიზანი მიუღწეველი დაურჩა. დღეს კი ეს გადაუდებელ ოპერაციას წარმოადგენს. არასოდეს ასე მაღლა არ ასულა არც ინდივიდური და არც კოლექტიური პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე. ყველა გარკვეულის, ნათელის მიზნით ფრთიდგეს, მოქმედების ნათელი გეგმა ეჭიროს ხელში, რომ ქვეყანამ იცოდეს, ვის რა წილი უდევს მისი ბედის ტრიალში.

ჩვენი პარტიის ინტერესი და პარტიის საშუალებით ქვეყნის სამსახურის მოვალეობა მოითხოვს თავი დავაწყოთ ამარქაფებული ხალხის იდეოლოგიურ და ტაქტიკურ ბალასტს. მაშინ მოისპობა თვით ძალაც, რომელიც ხუთიოს პარტიულ მოქმედებას და განცალკევებას. ასგვარ განწმენდაშია ჩაშარხული წინდი ჩვენდამი ქუთვნილი პოლიტიკური წონა-ზნეშენელობის გაზრდილებისა.

ამას ყველა გრძნობს, ამაში ყველა დარწმუნებულია. ამიტომაც უზრუნველ ყოფილია ჩვენი პარტიის ყველა ნაზდვილ იდეურ მუშაკთა, წევრთა და ყველა გულწრფელ თანამოაზრეთა ჩვენთან ერთად თანამშრომლობა და ჩვენთან ერთად სიარული პარტიულ განწმენდისა და თვითგანვითარების გზით.

ს. კ. ედ.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის

ქართველმა ერმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. აღსდგა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დემოკრატიულ რესპუბლიკის სახით. პრინციპიულად ესეთი ნაბიჯი სრულიად საკმარისია და საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია განაგრძოს თავისი სახელმწიფებრივი არსებობა. მაგრამ პრაქტიკულად სულ სხვანაირად არის საქმე. ქართველ ერს ჯერ კიდევ არ შესწევს იმდენი ღონე, რომ თავისი უზენაესი ნება საკუთარ თავისი ძალ-ღონით განახორციელოს. ამიტომაც მისთვის საჭიროა მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებათა, რომელნიც მათს პირობებს განამტკიცებენ. და სწორედ ამ გზაზე მას მფარველობას და ხელმძღვანელობას უწევს ძლიერი და კულტურულსანი გერმანია და მასთან ერთად მისი მოკავშირენი ავსტრია-უნგრეთი და ბულგარია.

რუსებმა და განსაკუთრებით მისმა სხვადასხვა ჯიშის სოციალისტებმა მთელ ქვეყნიერების ყური გამოუჭედეს ყვირილით—ჩვენ ვებრძვით დაჩაგრულ ერთა თავისუფლებისათვის და ბედნიერებისათვისო. გულუბრყვილონი მაინც იფიქრებდენ, რომ მას შემდეგ, რაც რუსის სახელმწიფოს საქე უკიდურეს სოციალისტებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც საქვეყნოდ აღიარეს ერთა თვით-გამორკვევის უფლება, საქართველოს ბედი ამ მხრივ საადარდელი აღარ იქნებოდა, ვინაიდან თუ რომელიმე ერთს ერს ქვეყნიერებაზე ნება აქვს დამოუკიდებლად იარსებოს, მაშინ ქართველი ერის უფლებაც უდავო უნდა იყოს. რადგან საკმაოა გავითვალისწინოთ მისი ისტორია, თანამედროვე კულტურა, რომ, ცოტა მეცნიერული თუ ვიქნებით, მისი უფლებანი ეცნათ. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. რუსის სოციალისტებიც, თუმცა ცარიზმისაგან ცოტადენ განსხვავებულ ფრაზეოლოგიით მოსაუბრენი, ისეთივე იმპერიალისტები და სხვა ერების ჩაგვრელ-მეჩაგვრელები აღმოჩნდენ. საეჭვო შეიქნა ბანგრძლივი მოლაპარაკება მძლავრ გერმანიის დიპლომატიისა და ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლებისა, რომ „ქვეყნიერების გამაბედნიერებელ“ მოსკოველებს ეცნოთ, რომ ისინი პრინციპიულად წინააღმდეგი არ იქნებიან, თუ გერმანია აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამგვარად გადადგმულ იქმნა ერთი დიდი საგრძნობელი ნაბიჯი ქართველ ერის საერთაშორისო განწყობილების ნიადაგზე. მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველ ბოლომდე. ეხლა ცხადია. ჩვენი მფარველი გერმანია და მისი მოკავშირენი საბოლოოდ ოფიციალური ფორმალური წესების შესრულებით სცნობენ ჩვენს სახელმწიფებრივ დამოუკიდებლობას. უნდა ვიფიქროთ, თუ ყველა არა, ბევრი სხვა სახელმწიფონი მაინც დაუბრკოლებლივ შეუერთდებიან მათ ამ გზაზე.

მაგრამ ქართველი ერი მიუტოვებელ შეცდომას ჩაიდენდა, თუ იფიქრებდა, რომ საესებით სამშვიდობოს გასულია და არავითარი საშიშროება მის წინ უკვე არ არსებობდეს.

მე არ ვეხები აქ სრულიად შინაგან განწყობილებას, ჩვენს სიცოცხლის ძალას და სახელმწიფოებრივ სიმწიფეს. აქ ორი სიტყვით მხოლოდ ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობას მოვიხსენიებ.

ყოველი ერი იძულებულია ყოველ უწინარეს მიიხედ-მოიხედოს ირგვლივ, თავის მეზობლებში. მიუდგომელი თუ ვიქნებით, თავისუფლად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ისეთი უეგოისტო ერი, როგორც ქართველია, სხვა ქვეყნიერებაზე შეიძლება არ არსებობდეს. არ იფიქროთ, რომ მე ეს მის ღირსებათ მიმაჩნდეს. არა, ზომიერი და წინდახედული ეგოიზმი, რომელიც ჩვენს პიროვნებას უზრუნველ ყოფს და უცხოელების მონობისაგან და გათელვისაგან დაგვიცავს—აუცილებელი სიცოცხლის პირველებელი თვისებაა. ყოველ შემთხვევაში ქართველ ერს, სიმართლის ნიადაგზე თუ დავდგებით, ვერაფერ შესწავლებს სხვისი შეწუხების განზრახვას. **ქართველ ერს გულწრფელად სურს კეთილი შეზობლური განწყობილები ყავის მოსაზღვრეებთან მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მოსაზღვრეებმაც სცნონ ჩვენი შეცილებელი უფლებანი და სიკეთეზე სიკეთითვე გვიპასუხონ.** მაგრამ სამწუხაროდ სინამდვილეში ჩვენ მეზობელთა ზრახვანი სულ სხვა ხასიათის ვამოდგენ. დაწვრილებით რომ განვიხილოთ ყველა ამ მეზობლების მიდრეკილებანი, ქართველი ერი გაოცდებოდა და რაოდენადმე კიდეც უფრო ღრმად ჩაფიქრდებოდა, შეიძლება, უფრო მტკიცედ შეუდგებოდა თავის სახელმწიფებრივ აღშენებლობას მომავლის უზრუნველსაყოფად. აქ მხოლოდ გაკვრით შეეხებიშნავთ. თუ ჩვენს გარშემო არსებულ დამოკიდებულებათ გავითვალისწინებთ, უნდა გვეფიქრა რომ ზოგიერთ ოდესმე ძლიერ ხოლო ამ ხოლო დროს რუსებისაგან საკმაოდ დაჩაგრულ მეზობლებისთვან ჩვენი განთავისუფლება სანატრელი იდეალი უნდა ყოფილიყო. თურმე ეს მეზობლებიც მტაცებლობის კლანჭებს ჩვენთვისაც ლესავდენ და უეცრად აოხრების და განადგურების განსაცდელი კარს მოგვადგა და თუ არ გერმანიის ძალუმი სიტყვა, შეიძლება დღეს ჩვენი ქვეყანა სულ აოხრებული ყოფილიყო. ჩვენმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა სხვა ზოგიერთ ერსაც ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა და პოლიტიკურადაც განამტკიცა. ჩვენ მადლობას ველოდით. მადლობის ნაგიერ ჩვენ წინააღმდეგ მალულად თუ ცხადად გაკეთებულ მუშაობას აწარმოებენ. სხვებს ძველებური ტაციობის მიძნებული ინსტიტუტი გაეცხოველდათ. ერთი სიტყვით, მეზობლური არე ჩვენი არსებობისა ისეთი აღმოჩნდა, რომ ის მოითხოვს ქართველთაგან ღრმა ჩაფიქრებას, შეუჩერებლივ მოქმედების ჩვენი სახელმწიფებრივ ცხოვრებას განსამტკიცებლად, როგორც შიგნით, ისე გარეთ. დარწმუნებულნი უნდა ვიყვეთ, რომ სიმტკიცის და ძლიერების გამოჩენა მტრებს შეგვიმცირებს, მეგობრებს კი გაგვიმრავლებს. დაბალ ღობეთ ნურავის ვეჩვენებით. საგარეო პოლიტიკაში მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი პიროვნება, ისე უნდა მოქმედებდეს. და მაშინ გადადგმულ ნაბიჯებს საერთაშორისო ურთიერთობაში მოჰყვება სხვა ნაბიჯებიც, რომელნიც ჩვენ სახელმწიფებრივ არსებობას უზრუნველ ყოფენ და ამ გვარად ქართველ ერს მოუმზადებენ ბრწყინვალე მომავალს.

ჰ. სურგულაძე.

მეზობლების წრეში

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებით დაადგინეს მიეცეს წინადადება ფინანსთა მინისტრს, რომ ადერბეიჯანის მთავრობას დაუყოვნებლივ მიეცეს დაბეჭდილ ბონების ხვედრი ნაწილი, ხოლო საგარეო მინისტრმა მოსთხოვოს სომხეთს და ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლებს წარმოადგინონ ენკენისთვის 6-ის ხელმოკრულების რატიფიკაცია.

—

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით დაადგინეს: 1) თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა წოდებრივი უფლავი და მიკერძოებელი ქონება მიღებულ იქმნეს სახელმწიფო გამგებლობაში, 2) სახელმწიფო ქონებად იქნეს გამოცხადებული ყოფილ „თბილისის ღარიბ მოწაფეთა დახმარე საზოგადოების“ მთელი ქონება, 3) ამ ქონების გამგებლობის წესრიგის შესამუშავებლად არჩეულ იქნას კომისია მიწად-მოქმედების, გზათა, განათლების და ფინანსთა მინისტრებისგან.

—

მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენებით დაადგინეს, რომ 1918 წელს მარტამბისთვის 1-ის დადგენილება, რომლითაც ნება დართული იყო გაყიდვა „ღარიბ მოწაფეთა საზოგადოების“ მამულის (განოვის ქუჩაზე მყოფი), ნება დართული იყოს, გაუქმდეს.

—

განათლების მინისტრის მოხსენებით მას მიეცა 8,893 მან. და 67 კაპ. 10,000,000-იან ფონდიდან ყოფილ თავად-აზნაურთა გიმნაზიისთვის.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენებით დაადგინეს დაეკვალოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ნატანების სადგურზე საბაჟოს მიერ დაჭერილ საქონელს არსებულ კანონის მიხედვით მოექცეს.

—

მიწად-მოქმედების მინისტრის მოხსენებით დაადგინეს მიეცეს გაგრის ქალაქის თვითმართველობას სესხად 100,000 მან. კლიმატიური სადგურის საშუალებიდან იმ პირობით, რომ ფული დაიხარჯოს კლიმიტიური სადგურის კონტროლის ზედამხედველობით.

—

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით ვასილ არდიშვილს დაეკალა განგრძოს სასურსათო საქმის წარმოება და მოიწვიოს სასურსათო საბჭო.

—

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით 10,000,000-იან ფონდიდან მიტროპოლიტ ანტონის დასაკრძალავად 5,000 მანეთი გადაიდო.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით ვასილ არდიშვილს დაეკალა ციხეების ინსპექციას დაუყოვნებლივ მისცეს პური ტუსაღების გამოსაკვებად.

ქრონიკა

ტექნიკურ მიზეზის გამო გაზეთი „საქართველო“ დროებით შეჩერებული იყო ქალაქის გამოლევისა და შრიფტის უვარგისობის გამო. დღეიდან გაზეთი სისტემატიურად გამოვა.

ტყვე ინგლისელების ჩამოყვანა. გუშინ ოსმალთა ოფიცრებმა და ასკერებმა თბილისში ჩამოიყვანეს 12 ტყვე ინგლისელი. ამ ჟამად განჯაში 100 ტყვე ინგლისელი კიდევ ყოფილა.

მიტროპოლიტ ანტონის გარდაცვალების გამო. ენკენისთვის 22 სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ მაგრამ არის აქ მეორე გარემოება, რომელიც უსათუოდ აღსანიშნავია და რომელიც სრულიად გამორჩათ ყოფილ ჩვენს ამხანაგებს.

პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ეხლა თავად-აზნაურობას დაეკრდნობა სრული ბანკროტი იქნება. რათა? ცხადია არა მიტომ, რომ თავად-აზნაურობა კონსერვატიულია და მოდაში კი ეხლა სხვა რეჟიმი და სხვა ლოზუნგია. მიზეზი აქ უფრო რთული და უფრო აქტუალურია.

საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურობა დღეს თითონ არის ბანკროტი. ერთის მხრივ ბიწის კანონი და მეორეს მხრივ ის ანარქია, რომელიც შეძლებას არ აძლევს მას გაინაღდოს, თუ გინდა მხოლოდ ის შვიდი დესეტინა, რომელიც კანონით ეკუთვნის სრულ პოლიტიკურ ნულად ხდის მას. ასეთ პირობებში, არ არის იდეოლოგია და შეუძლებელია იყოს პარტია, რომელიც შესძლებდეს ასეთ თავად-აზნაურობიდან პოლიტიკურად მომქმედ ძალის შექმნას.

და სწორედ ასეთი ტვირთი უკისრიათ გრ. ვეშაპიძეს და მის ამხანაგებს. სისულელეა ეს, თუ სიჭკვიანე? ეგ მგონია არ არ არსებობს მოულენა სულელური და ჭკვიანური. არ არის მოვლენა, რომელსაც რამე შედეგი არ მოჰყვეს. საქმე მხოლოდ გემოვნებაა და ის თუ რამდენად იქმნებიან კმაყოფილნი ამ შედეგით ყოფილი ჩვენი ამხანაგები.

შ. ამირეჯიბი.

ტიფი იქმნა პანაშვიდი მიტროპოლიტ ანტონის სულის მოსახსენებლად. დაესწრო დიდ ძალი მლოცველთა. დაკრძალვაზე დასასწრებლად ქუთაისს გაემგზავრა მიტროპოლიტი ლეონიდე. დაკრძალვის ხარჯების გასასტუმრებლად მთავრობამ 5000 მან. გადასდო.

სევასტოპოლის ქართველთა აღსასრულებელმა კომიტეტმა საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ სევასტოპოლზე აუარებელი ტყვე ქართველები მოდიან; კომიტეტს საღსარი არა აქვს დაეხმაროს ტყვეებს და სთხოვს მთავრობას დანიშნოს სევასტოპოლში მთავრობის წარმომადგენელი, ყირიმში მყოფ ქართველთა ინტერესების და სიცოცხლის დასაცავად. სევასტოპოლის ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარედ დ. შარაშიძე იმყოფება.

საავიაციო საქმის გასავითარებლად საავიაციო როტის უფროსს საავიაციო ინსპექტორის უფლებები მიენიჭა.

მოწაფეთა განთავისუფლება ჯარში გაწვევისაგან. მთავრობის ბრძანებაში განმარტებულია, რომ მოწაფეები ჯარში გაწვევისგან თავისუფლდებიან, თუ მოწაფეობის მოწმობას წარმოადგენენ სწავლის დასრულებამდე, ხოლო არა უგვიანეს 22 წლის შესრულებამდე.

საინტენდანტოს რევიზია. საინტენდანტო დაწესებულებათა ფაქტიური რევიზია გენ. მაჰავარიანს დაეკალა.

ოსმალეთის ფარგლებიდან ერევანში დაბრუნდა 43 ტყვე ივზიდიქურთი და ბევრი სომხები. სომხეთის მთავრობამ 25000 მან. გადასდო მათ დასახმარებლად.

ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან მამედ-ალი-ფაშა, რომელსაც სადგურზე დახვდა სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი საპატიო ყარაულით.

რ. გაბაშვილის წინადადება ეროვნულ საბჭოში. ეროვნულ საბჭოს წევრმა რევაზ გაბაშვილმა მუშათა კომისიაში შეიტანა შემდეგი საკანონმდებლო წინადადება: 1) რკინის გზებზე და მის დაწესებულებებში გაფიცვა აიკრძალოს; 2) ყოველი გაფიცული პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული [illegible] ადმინისტრაციისთვის უნდა შემუშავდეს საგანგებო ინსტრუქცია.

მუსიკალური ჰიმნი. ამ ახლო მომავალში ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გამოაცხადებს ქართულ კვარტეტის დაწერის კონკურსს (ვიოლინო I და II, ალტი, ვიოლონჩელი) ოთხ-სიმებიან დასაკრავებისათვის.

უფასო საჩაიეს გახსნა. ენკენისთვის 22 ველიამინოვის ქუჩაზე № 12 მე-3, მე-4 და მე-5 უბნის მოქალაქეთათვის მე-4 სასანიტარო ნაწილის ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი უფასო საჩაიე.

რაჭველთა საღამო. ხუთშაბათს, ენკენისთვის 26, საღამოს 8 საათზე, „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის კულტურულ-ეკონომიური საზოგადოების“ ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად სახალხო სახლში გაიმართება საღამო. საღამოს პროგრამა: 1) სიტყვა რაჭველებზე, 2) ისტორიული სიმღერები, 3) ხალხური ლექსები, 6) „სტვირთა ლილინი“, 5) თარი, 6) ფერხული, 7) ცეკვა-თამაში მუსიკით და თარზე.

ხიდერა. ენკენისთვის 20 ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 4 ხოლერიანი. მორჩა და საავადმყოფოდან გამოეწერა 15; გარდაიცვალა 5. ამ ჟამად საავადმყოფოში ითვლება ხოლერიანი 103 კაცი, საეჭვო 12.

საგანგებო რაზმი და მილიცია. რადგანაც ბოლო დროს შინაგან საქმეთა მინისტრისთან არსებულ საგანგებო რაზმის თანამშრომელთა მოქმედებას დროს ადგილი ჰქონდა რამდენჯერმე გაუკვირვებას იმის გამო, რომ მილიციელები საკანონადო დახმარებას არ უწევენდნენ მათ, მილიციის უფროსმა განკარგულება გამოსცა მილიციისადმი, რომ სხვენებულ რაზმის თანამშრომლებს მიეადგილების ასრულების დროს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ.

გაძარცვა და ოჯახის მკვლელობა. ენკენისთვის 22, ღამის 11 ს., ნავთლუღის ახლოს, „ებრაელთა საწყობის“ დარაჯს, 70 წლის მოხუცს მატუსა ი. გოლდბლაიერს თავს დაესხა რევოლვერებით შეიარაღებული რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი, რომლებმაც კამოდიდან წაიღეს 300 მან., რის შემდეგაც მოხუცი მოჰკლეს, ხოლო მისი ცოლი ბეილი მარცხენა ყბაში დასჭრეს ბოროტ[illegible] მიიმალნენ. ბეილი გოლდბლაიერი გარდაიცვალა.

გაძარცვა. ენკენისთვის 22, ღამით დეზერტირების ბაზარზე ვინმე სიმონ ფაეკვაძეს უცნობმა პირებმა წაართვეს 11,000 მანეთი და მიიმალნენ.

დაპატიმრებანი. მეცხრამეტე ჯარის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს შტაბს-კაპიტანი დიმიტრიშვილი და პრაპ. ჟურული ქუჩაში წესიერების დარღვევისათვის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებისთვის ვინმე გერასიმ მატინიანცი და უშაკოვი.

— ენკენისთვის 22 მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს და 3 თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს ნიკოლოზ ლ. კიკაჩეიშვილს, როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირს.

ფეოდორი შემოხვევა. ენკენისთვის 21 ღამის 11 საათზე უმცროს მილიციელს მ. ფეოდოტოვს უცაბედათ გაუგარდა რეოლვერი და მოჰკლა ეკატერინე ორაგინიმოვი.

ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების გამგეობის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 25 ენკენისთვეს, საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე, ფრეიდლინის ქ. № 11. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

[illegible] ცხოვრებიდან

ხუთშაბათს, ენკენისთვის 26-ს მოხდება ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა და მოწაფეთა კონფერენცია. ამისათვის დელეგატების ასარჩევად ხვალ, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია სტუდენტთა და მოწაფეთა კრება. დასწრება აუცილებლად საჭიროა.

ეროვნულ საბჭოს კრება. დღეს, შუადღის 12 საათზე შესდგება ეროვნულ საბჭოს კრება. დღიური წესრიგში შემდეგი საგნებია: 1) კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის შესახებ. 2) სპირტზე დადებული გადასახადის გადიდების შესახებ. 3) მთავრობის პასუხი საბჭოს წევრის ახმეტელის შეკითხვის გამო.

შეკანასკნელი ამბავი

გერმანიამ ოფიციალად სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

—

ადერბეიჯანისა და ოსმალეთის ჯარებმა ბაქო აიღეს. სამრეწველო პუნქტები დაზარალებული არაა.

—

რუსეთში ტეროორი მძვინვარებს. მოსკოვსა და პეტროგრადში შეთქმულობა აღმოაჩინეს. დახვრიტეს დიდი მთავრები და საქართველოს ეკლესიის დიდი მტერი—ი. ვოსტორგოვი.

—

სოჭის სოციალისტური პარტიების გაერთიანებულმა ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობას სთხოვა, რომ სოჭის ოლქი საქართველოს რესპუბლიკას შეუერთოს.

—

აკტრია-ჰუნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეთლენმა საბრძოლო წინადადებით მიმართა მოწინააღმდეგეებს.

ბაქო

საქართველოს მთავრობასთან ადგენ ბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ საელჩოს საინფორმაციო ბიუროს ბაქოს შესახებ შემდეგს აცხადებს: „ბაქოდან ეს არის მეოცეული ცრობა, რომ ქალაქში ამ ჟამად აღდგენილია სრული წესიერება. ქალაქში ჯერის შესვლისას ყველა ექსცესი დაუყოვნებლივ შესწყდა. რამდენიმე ათეული მთავარი დაბეჭიტეს. კომენდანტად [illegible] ნა ნაზიმ-ბეი. [illegible] ბრივ ბოლშევიკების [illegible] ბამდე ყოფილი ქალაქის თვითმართველობა იღებს [illegible] ობით. მთელი სასურსათო საქმე ქალაქის თვითმართველობას გადაეცა. მაღაზიები ნელ-ნელა ისსნება. წყალსადენი [illegible] შაობს. ნავთის სამრეწველოები [illegible] ლად გადარჩა. ტელეგრაფს და რკინის გზის მიმოსვლას საქმაოდ ადგ[illegible] გენენ.

ფლოტმა კომენდანტს დელეგა[illegible] გამოუგზავნა და სთხოვა ნება მიეცეს ცოლშვილი გაიყვანოს ქალაქიდან, რ[illegible]

ნებართვაც მათ მიეცათ. ქართველებს ადერბეიჯანის მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა. პირველ საჭიროებისთვის მიეცათ 50,000 მან.

განახლდა ბოლშევიკების გამეფებიდან შეჩერებული გაზეთი „აჩიკ-სოზი“. ამ დღეებში გამოვა გაზეთი „კასპი“.

მდგომარეობა მანგლისში

სასოფლო კომისიას მანგლისიდან დეპეშით ატყობინებენ ხსენებულ კომისიის წევრნი კვაკაძე და კაკაბაძე, რომ მცხოვრებთა მიერ იარაღის ჩაბარება უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით აუბარებიათ 3 ტყვიისმფრქვეველი, 600 თოფი და 30,000 ტყვია. სახალხო გვარდიის ადგილობრივი რაზმი და ადმინისტრაცია გმირულად მოქმედებს.

ლეჩხუმში

თბილისში დაბრუნდა მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის პირველი ეზოდი, რომელიც კაპ. მახარაძის უფროსობით მოქმედებდა ლეჩხუმში. ლეჩხუმის ოპერაცია დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ბოლშევიკები ყველგან დაამარცხეს, მეთაურები ზოგი დაატყვევეს და მცირე ნაწილმა სამეგრელოს შეაფარა თავი. ბოლშევიკების რამდენიმე მეთაური თავის ნებით გამოცხადებულა საექსპედიციო რაზმის უფროს პოლკ. ზაქარიაძესთან და თან ჩვენი ტყვეები მოუყვანიათ. ჩვენებმა დაიბრუნეს ბოლშევიკების მიერ 1 ბრიგადისთვის წართმეული ზარბაზანი. სხვათა შორის, ბოლო დღეებში დაუპატიმრებიათ ბოლშევიკთა ცნობილი მეთაური ა. მარჩაძე. საარტილერიო ეზოდმა თან ჩამოიყვანა ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები. ბოლო ხანს ყველა სოფლებიდან მცხოვრებლები მოდიან და მორჩილებას აცხადებენ. ზემოხსენებულ საარტილერიო ეზოდს მარჯვე მოქმედებით სახელი გაუთქვამს. მარჯვედ მოქმედებდა თურმე აგრედვე მიქელაძის რაზმი.

უცხოეთის ამბები

ჩინეთის მინისტრს დალაქმა ყელი განისვრა. ვიქტორიიდან რადიოთი იტყობინებიან: ჩინეთის სახალხო განათლების მინისტრს ტან-ხან-ლინგს დალაქმა საშართველით ყელი გაუსვრია და თვითონაც თავი მოიკლა.

საათის უკან დაწევა. „სოვნარკომმა“ დეკრეტით ბრძანება გასცა, რომ 15 ენკენისთვიდან საბჭოს რესპუბლიკის საზღვრებში საათის ისარი ერთი საათით უკან იქნეს დაწეული.

სახალხო ლაშქრის რაოდენობა. მოსკოვის ცნობებით ბოლშევიკების წინააღმდეგ მომქმედი ჯარების რაოდენობა ასეთია: ციმბირის ჯარები შესდგება 23—25 ათასის კაცისაგან, რომელთა რიცხვიდან პერმის მიმართულებით მოქმედებს დაახლოვებით 10—12 ათასი კაცი. დანარჩენები იბრძვიან ზაბაიკალსა და სამიპალატინის ოლქში. სამარის სახალხო ლაშქარი ყაზანებთან ერთად შეადგენს 60—65 ათასს, ჩეხო-სლოვაკების კორპუსი—70 ათასს, ჩეხო-სლოვაკების კორპუსი ამ ჟამად ზურგში დასწიეს, სადაც ისინი საგარნიზონო სამსახურს ეწევიან და ადგენენ ეხლა ჯარებს ჩეხების სამხედრო ტყვეებისაგან. უმთავრესი სიმძიმე სამარის სახალხო ლაშქარს აწევს.

რუსეთის ფლოტი ვლადივოსტოკში. როგორც ვლადივოსტოკიდან იტყობინებიან, იქაურ ნავთსადგურებში მყოფი რუსეთის ფლოტი, რომლის მდგომარეობაც აქამდის გამოურკვეველი იყო, ეხლა ოფიციალურად ბოლშევიკების დროებით მთავრობისათვის გადაუცია. ამ ფლოტის უფროსად დაუნიშნავთ კერენსკის კაბინეტის საზღვაო მინისტრის ყოფილი ამხანაგი.

მოკლეშვირეთა ჯარები ვლადივოსტოკში. მოსკოვის ცნობებით ვლადივოსტოკში მისულა იაპონიის ჯარის 12 ეშელონი. ამაზედ აღრე იქ გადუსხამთ ინდო-ჩინეთიდან ამერიკელების და საფრანგეთის ჯარების ნაწილი [illegible] ვლადივოსტოკის ნავთსადგურში ამერიკის სამხედრო გემები დაუყენებიათ.

ტროკიანელებიდან იუწყებიან: ვლადიმირის გუბერნიაში გამოჩნდა ერთი ბერი, რომელიც თავის თავს ყოფილ [illegible]ეფედ აცხადებს. ის ცოტათი ჰგავს [illegible]ოლოზ მეორეს და დიდძალი ფული [illegible]ვს. ვლადიმირის სოფლელები ამბობენ, [illegible]ომ ეს კაცი შეთანხმების სახემწიფო [illegible] აგენტია და დიდ ფულს ჰპირდება, [illegible]ც მა შეიპყრობს.

[illegible]ირეში. უკრაინისა და ყირიმის [illegible]ოკიდებულების შესახებ გენ. სულ-კევიჩს შემდეგი განუცხადებია: როდესაც ყირიმის მართველობა ჩამაბარეს, მე შემდეგი პრინციპებით ვხელმძღვანელობდი: ყირიმი დროებით უნდა „ოლქად“ დარჩეს. მისი ბედიც უნდა გადაწყდეს მაშინ, როდესაც საზოგადოდ მთელი ევროპის ბედი გადასწყდება. მით უმეტეს, რომ ყირიმის ბედში დაინტერესებულნი არიან ბევრნი, რომელთა აზრს დიდი ანგარიში უნდა გაუწიოთ. ამ მოსაზრებით ჩემი მთავრობა არც უკრაინის მხარეზე ყოფილა, არც მის წინააღმდეგ, აბამედ იგი ესწრაფოდა მასთან კეთილ მეზობლური განწყობილება განემტკიცებინა, რაიც სასარგებლო იქნებოდა როგორც ყირიმისა, ისე უკრაინისათვის. იმის შემდეგ, რაც მე განვაცხადე კიევში ჩემს ასალს დანიშვნის შესახებ, მოულოდნელად უკრაინის მთავრობიდან მივიღე ტელეგრამა, რომელიც მომართული იყო ჩემდამი, როგორც „გუბერნიის სტაროსტისადმი“, უკრაინულს ენაზე. მე ვუპასუხე, რომ „სტაროსტა“ არა ვარ-მეთქი, არამედ დამოუკიდებელი, ამის გარდა, კეთილინებეთ და საზოგადო რუსულ ენაზე გამომიგზავნეთ-მეთქი. ასეთი ჩუმი საქციელი კიევში „დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტად“ გამოაცხადეს. ჩვენ, ე. ი. ყირიმის სამინისტრომ გაგზავნა კიევში საკუთარი წარმომადგენელი ეკონომიურ დამოკიდებულებათა განსამტკიცებლად, მაგრამ იქ წარმომადგენელი დახურულ კარებს შეხვდა... ჩვენ ვიცით, რომ უკრაინის მთელი სამინისტრო არ იზიარებს ყირიმთან „ომს“. მაგრამ უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ყირიმი უეჭველად უკრაინას შეუერთდეს.

სესხი გერმანიაში, ფინანსთა მინისტრ ტატიშჩევისაგან მიიღეს ბერლინიდან ცნობა, რომ უკრაინისთვის 50 მილიონი სესხი მოუხერხებიათ.

კანონი სპეკულიაციის შესახებ. მინისტრთა საბჭომ გამოსცა კანონი სპეკულიაციასთან საბრძოველად სასტიკი ზომები იყოს შემოღებულია.

ომი

დასავლეთის ფრონტზე

გერმანიის ცნობა

ბერლინი, 22 ენკენისთვე. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი. ფლეურბეს დასავლეთით და გაეზინკურტის სამხრეთით ინგლისელები ნაწილობრივ იერიშებს აწარმოებენ. სკარპის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ბრძოლის დროს 45 ტყვე წამოვიყვანეთ.

ბოინეს ლაშქარი. ამ ორი დღის განმავლობაში უშედეგო იერიშების შემდეგ ინგლისელებმა გუშინ ხელახლად მოიტანეს ძლიერი საერთო იერიში. ამ იერიშის მიზანი იყო კამბრეს სამხრეთით ასპარეზის გარღვევა. ძლიერი არტილერიის, ჯავშნოსნების და ჰაეროპლანების დახმარებით ინგლისელების ქვეითა ჯარმა შეტევა დაიწყო დილა ადრიან გუზოკურტის ტყის და გარეკურტის შუა. ამ იერიშის მოლოდინში 19 სექტემბერს ღამე ჩვენი დამცველი ხაზები გაუმაგრებელი ადგილებიდან გადავიტანეთ ეპეის სამხრეთით ინგლისელების ძველ პოზიციებზე ვალერ-გიუისლენსა და ბელიკურტს შუა. როდესაც მოწინააღმდეგემ ხშირი ჯგუფებით შემოუტია ჩვენ ხაზებს, მათ დაუხვედრეთ წინდაწინ გამზადებული საარტილერიო ცეცხლი, ქვეითი ჯარი და ტყვიის მტყორცნელები. ეს შეტევა შეჩერდა ჩვენი ხაზების წინ. განმეორებით ძლიერი საარტილერიო ცეცხლის მომზადების შემდეგ მოპირდაპირე ხელახლა გადავიდა ახალ შეტევაზე, მაგრამ ამ იერიშმაც ცუდად ჩაუარათ, ჩვენი კონტრიერიშებით უკუგდებული იქმნენ. ვილლერ-ჰიუსლენის აღმოსავლეთით და კეენმონტის მხრით მტერმა დროებით მოახერხა ჩვენს თხრილებში შემოჭრა, საღამოთი და მთელი დამის განმავლობაში ძლიერ საარტილერიო ცეცხლს ახალი იერიშები მოჰყვა, რაიც თავის დროზეკე მოგერეკულ იქმნა. გუშინდელი დღე ჩვენთვის ღირსშესანიშნაია როგორც ბრძოლის დღე. ცხენოსანთა რაზმმა, პრუსაკებმა და ბავარიის პოლკებმა ინგლისელებს დიდი ზარალი მიაყენეს. მთელს ფრონტზე, სადაც კი მან იერიშები დაიწყო, დიდად დაზარალდა იგი. ჩვენმა არტილერიამ დიდად შეუწყო ხელი ბრძოლაში გასამარჯვებლად.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ეუტისა და ენის შუა მთელი დღის განმავლობაში ზომიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. საღამოთი იგი გაძლიერდა, განსაკუთრებით ვოკსელინის აღმოსავლეთით.

პარიზი. 22 სექტემბერი. სენ-კვენტინის სამხრეთით ფრანგებმა თავისი პოზიციები გააფართოვეს. გინაკურდას დიაფონტენას და ტერილას სამხრეთით ფრანგები ვენდეილთან იმყოფებიან. მდ. ენის ჩრდილოეთით გერმანელების სამი კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. ალემანის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ მოახერხა ჩვენი პოზიციების მოახლოვება. ფრანგებმა სანსის აღმოსავლეთით ტერიტორია მოიგეს და ტყვეები წამოიყვანეს.

ამერიკის სამხედრო ცნობა. 22 სექტემბერი. ვოვრში ჩვენი ნაწილები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის ხაზში ორ ადგილას, დიდი ზარალი მიაყენეს და 25 ტყვე წამოიყვანეს. მოწინააღმდეგის იერიში, რომელიც ცდილობდა ჩვენი ასპარეზის მოახლოვებას, მოვიგერიეთ და 2 ტყვე წამოვიყვანეთ.

ბერლინი. 22 სექტემბერი. ინგლისის ბლოკადის ზონაში ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა მოწინააღმდეგის გემები ჩასძირეს. ჩაძირული გემების საერთო წყალწყვა 14.000 ტონს უდრის.

ვენა. 22 სექტემბერი. იტალიის ფრონტი. გუშინ ჩვენი ჯარები მოულოდნელად თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის თხრილებს, რომლებსაც იკავებენ ჩეხო-სლოვაკების ლეგიონერები. ამ სექტორის კომანდას დიდი ზარალი მიეყენეთ. იტალიის ასპარეზის ბევრ ნაწილებში მოწინააღმდეგის რაზმების ბრძოლა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში

ეროვნ. დემ. პარ. მთავარ კომიტეტის ოფიციალური ცნობა.

პარტიის საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო, თბილისის ცენტრალურ და საუბნო კომიტეტებს.

ამა წლის 19 აგვისტოს, მთავარ კომიტეტის დადგენილებით მთელი შემადგენელობა ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციისა ეროვნულ საბჭოსა გამოწვეულ იქმნა, რასაც მოჰყვა ხელახალი აირჩევანი ფრაქციის წევრებისა. შედეგი ამ არჩევისა იყო, რომ ძველი ფრაქციის ორი წევრი მიხ. მაჩაბელი და დ. ვაჩნაძე ახალ სიაში არ მოჰყვნენ, მთავარ კომიტეტმა ეს შედეგი აცნობა დასახელებულ პირთ და მოსთხოვა, რომ მათ წერილობით განცხადება შეეტანათ ეროვ. საბჭ. პრეზიდიუმში საბჭოდან გასვლის შესახებ. ბბ. მაჩაბელი და ვაჩნაძე მთავარ კომიტეტს არ დაემორჩილენ და განაცხადეს, რომ ეროვნულ საბჭოდან არ წავლენ. ამასთანავე მათ აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს მთავარ-კომიტეტს, მიიმბრეს ყველა ის პირნი, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ მთავარი კომიტეტის და გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის და ეროვნულ საბჭოში შეტანილს მთავარ-კომიტეტის ექვსი წევრისაგან ხელმოწერილი განცხადება, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ მთავ. კომიტ. დადგენილების წინააღმდეგ და მით პარტიული შინაური საქმე საკანონმდებლო ორგანოში გადაიტანეს...

ამის შემდეგ მთავ. კომ. იძულებული გახდა გამოეტანა დისციპლინარული ზომა, რომელიც ბოლოს მოუღებდა პარტიაში შექმნილ უწესოებას და უდისციპლინობას.

მთავარმა კომიტეტმა ერთსულოვან გარდაწყვეტილებით, გარდა იმ წევრებისა რომლებიც საბჭოში შეტანილ განცხადებას აწერენ ხელს, დაადგინა მიხ. მაჩაბელის და დ. ვაჩნაძის განაცხადი პარტიიდან. ამის შემდგომ მიხ. მაჩაბელმა და დ. ვაჩნაძემ ცალკე ფრაქციად გამოაცხადეს თავი, რომლებსაც მიემხრნენ ფრაქციის წევრი ბრ. ვეშაპაძე, რ. გაბაშვილი, ვ. წერეთელი და შ. ქარტიშაძე, ხოლო მთავარ კომიტეტიდან ივ. ელიავაშვილი და და დ. ჯაფარიშვილი.

მთავარი კომიტეტი ადასტურებს, რომ დასახელებულ წევრთა ულირსი და ყოველივე ეთიკას და დისციპლინას მოკლებული საქციელის გამო პარტიიდან განდევნა არ არის პარტიის გაყოფა, ან განეთიქილება. აბამედ ერთად ერთი ზომა, რომელიც შეეტანს მტკიცე დისციპლინას პარტიაში. მთავარი კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზემო დასახელებულ პირთა პარტიიდან წასვლით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთლიანი და გაუყოფელი რჩება. მთავარი კომიტეტი ამასთანავე აღნიშნავს, რომ ამ პირთა წასვლით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღება იმ ჯუთანხმოებას, რომელიც მათგან იყო შექმნილი და რომელიც ასუსტებდა პარტიაში შემოქმედებით მუშაობას და მის ბუნებრივ ზრდას.

გევალებათ: ყოველივე ეს ამცნოთ პარტიის წევრებს და განაგრძოთ პარტიული მუშაობა, იმ იმედით, რომ ამის შემდეგ პარტია უფრო მტკიცეთ შეკავშირდება და შემოიკრებს გარს ქართველი ერის ყველა საღ და შემოქმედ ძალებს. პარტიიდან გასულ პირებს ეროვნულ დემოკრატიულ ოჯახში მოწერენი არ უნდა ჰყავდეს. ის ადამიანები, რომლებიც ასეთ მძიმე დროს და ყოვლის უმიზეზოთ ასე გულგრილად იღებენ ხელს პარტიაზე, სურთ მისი დანგრევა, ვერ მოიპოვებენ პოლიტიკურ ნდობას ვერსად და მით უმეტეს ეროვნულ-დემოკრატთა შორის. მთავარმა კომიტეტმა უკვე სთქვა თავისი მსჯავრი, ჯერი პარტიაზეა და მთავარი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ეს მსჯავრი ერთ ხმა და ერთ სულოვანი იქნება.

ქუთაისის საგუბერნიო კონფერენციის დადგენილება.

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის მეორე საგუბერნიო კონფერენციამ იქონია მსჯელობა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ ინციდენტის შესახებ და მიიჩნია მთავარ კომიტეტის გარდაწყვეტილების შემლახავთა მოქმედება და საქციელი პარტიის ეთიკისა და დისციპლინის აშკარად დარღვევად და ამიტომ კონფერენცია სრულებით მიზანშეწონილად აღიარებს მთავარ კომიტეტის ზომას ინციდენტის მიზეზთა დავით ვაჩნაძისა და მიხელ მაჩაბლის წინააღმდეგ და სრულ ნდობას უცხადებს მთავარ კომიტეტს. ხოლო პარტიის იმ წევრთა მოქმედება რომელთაც მხარი დაუჭირეს ზემოხსენებულს ორს პირს და მით პარტიულ ორგანიზიმის დაშლას ხელს უწყობენ, კონფერენციამ მიიჩნია შეუწყნარებლად და გამოსთქვამს მტკიცე სურვილს მიღებულ იქმნეს ზომები, ინციდენტის პარტიის ინტერესების მისედვით სალიკვიდაციოთ.

კონფერენცია მოხდა 15 ენკენისთვეს; რეზოლიუცია მიღებულ იქმნა ერთხმად.

კონფერენციის თავმჯდომარე

თორაძე.

[illegible] ალბადგინოვი სოფლ. საქართველოში

(ვუძღვნი გორის ქართველ მშობელთა წრეს)

ჩვენი აწმყო სკოლა დღეს ავის სენით არის შეპყრობილი; ამას მხოლოდ ბრმა ვერა გრძნობს, თორემ თვალხილულისათვის კი უკვე დამტკიცებული ჭეშმარიტებაა.

როცა დიდ რუსეთში და აგრეთვე ჩვენ პატარა სამშობლოში, რევოლიუცია წითელ დროშით ბრწყინვალეთ შემობძანდა, დიდმა და პატარამ ნგრევას მიჰყო ხელი.

ნგრევის პროცესში, მათ ფიქრად არ მოსდით, რომ დამკცევთა რიცხვი უთვალავია და ამშენებელთა რიცხვი კი მუდამ თითებზე ჩამოსათვლელი, რადგან აშენება მოითხოვს სწავლას და გამოცდილებას. ამ ნგრევის პროცესს უწოდებდნენ რევოლუციის გაღრმავებას რეოლუციონერ გაღრმავების გზაზე ეხლაც ბევრი მიისწრაფება და შეიძლება მალე რევოლიუციის სიღრმეში საუკუნოთ დაიღუბოს ქვეყნის საცოცხლო ინტერესები თუ დროზე არ დავამთავრეთ ეს ნგრევა და დადებითს, საღმშენებლო მუშაობას ხელი არ მივყევით.

რადგან ჩვენი სამშობლოს მერმისი დამყარებულია ჩვენ ახალთაობაზე და მათ გონიერ აღზრდაზე, ამიტომ ვისაც სწამს სამშობლოს მერმისი უნდა საქმით და სიტყვით სასტიკად გაილაშქროს სკოლის დამკცევლების წინააღმდეგ.

დღეანდელი სკოლა გარდაიქცა საალაბო და სამიტინგო დაწესებულებად. სკოლაში არ არის წეს-რიგი, ბაქია მეცნიერების ის პაწია ლაბორატორია, რომელიც ოდნავ ბუტაგდა.

რას აკეთებდნენ მასწავლებელნი, მშობლები, მოსწავლეები და თვით მეთაურობა?

ზოგმა მასწავლებელმა „ამხანაგობა“ გამოუცხადა მოსწავლეებს და ამით უბრალო „ტიკინათ“ გარდაიქცა მათ ხელში.

გაკვეთილების ძაგიერ, ზოგი „ამხანაგ-მასწავლებელი“ ლაპარაკში ატარებდა დროს და დარწმუნებული იყო რომ რევოლიუციას აღრმავებდა და სრულიად ფიქრში არ მოსდიოდა, რომ თავისი ასეთ მოქმედებით სკოლას ძირს უთხრიდა.

მე ვიცი მაგალითები, როცა მოწაფენი დიდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ იმ მასწავლებლების წინააღმდეგ, რომელნიც სკოლაში არ დაიარებოდნენ გაკვეთილზე. ხმა მაღლა და მოურიდებლად ჰკიცხავდნენ იმ მასწავლებლებს, რომელნიც ზნეობით და საქმის ცოდნით ვერ იდგნენ სასურველ საფეხურზე.

ჩვენი სკოლის დაქვეითებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს რევოლიუციონერ მასწავლებლებმა, რომელნიც დიდის პაფოსით ამტკიცებენ, რომ მოწაფეთ უნდა მიენიჭოთ „თავისუფლება“, უნდა მოიხსნეს მასწავლებლისაგან „თვალ-ყურის დევნა“, „მოსწავლეების გამოცდა“, „დამღუპავი ნიშნები“ და მოწაფეებს შეენიჭოთ „თვითმართველობა“, და თვით კი ამავე დროს ოთხსაც არ ანძრევდენ საქმის გასაკეთებლად. რა შედეგი მოიტანა ამან?

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ შვილებს დღეანდელი ჩვენი სკოლა გახრწნის, უკეთუ სკოლაში მტკიცე წეს-რიგი არ იქნება დამყარებული და მათი უმანკო ბალღი ღვთის ანგარად იქნებიან დატოვებულნი. მშობლის ხმის ამოღება საჭიროა და უკეთუ გაჩუმდებიან არ ვიცი სახელი უწოდო მათ საქციელს!

თუ ზნეობის მხრით, ვინმე თვალყურს ადევნებდა ჩვენ სკოლას, დამეთანხმება, რომ აქ დაქვეითება უმაღლეს წერტილამდე ავიდა. მე მხოლოდ ოდნავ აცხადე ფარდა ჩვენ სკოლას და თუ მთლად გადავხადე საშინელ შემზარავ სურათებს დავინახავთ. ეს ზნეობრივის მხრივ! რას წარმოადგენს სკოლა მეცნიერების მხრივ? მოწაფეთ, ნამეტნავად უმაღლეს კლასებისას, საბელიდაც ვერ შემოიტრევთ სკოლაში; მოწაფეების მაგიერ კლასში ცარიელი მაგიდები სდგას, გაკვეთილების მომზადებაზე აღარ ზრუნაენ, გული აიცრუეს სწავლაზე და ამას ზედ დაერთო მასწავლებლების უმოქმედობა.

მე ვიცი გიმნაზია, სადაც ზოგჯერ, ექვსი-შვიდი გიმნაზიის მასწავლებელი გაკვეთილებს არ ესწრობოდა და რა უფლება უნდა გქონდეს მოწაფეებს მოესთხოვოთ სკოლაში სიარული?

გიმნაზიაში და სკოლებში შეიქმნა ახალი სკოლის ტიპები მასწავლე-მასწაელებლებში.

რაღას აკეთებდნენ მასწავლებლები? ზოგი რევოლუციას აღრმავებდა, ზოგს ვაჭრობის უნარი და ნიჭი გამოაჩნდა, ზოგმა-კი ხელობა შეისწავლა და ყველა კი სკოლას გაურბოდა.

მასწავლებელს და შეგირდს სწამდათ, რომ ეგსახურებოდნენ აწმყოს და ავიწყდებოდათ რა ღრმა სამარეს უთხრიდნენ სკოლას და ჩვენ სამშობლოს მერმისს.

ცოდო იქნება ყველა მასწავლებელზე ვსთქვათ, რომ ამ ორ ტიპს ეკუთნიან; არიან ისეთნიც, რომელთაც ესმით სკოლის მდგომარეობა და საქმეს სრულ პატიოსნებით ეპყრობიან, მაგრამ მათ მოქმედებას ძირს უთხრიან ამხანაგ-მასწავლებლები.

ჩვენ საზოგადოებას არ ესმის, რომ ის მასწავლებელი, რომელიც წლობით მხურვალე მონაწილეობას იღებს ყველა დაწესებულებაში—მასწავლებელი აღარ არის; ის არის საზოგადო მოღვაწე. ასეთი მოღვაწე—მასწავლებელი ჩვენის დაკვირვებით და გამოცდილებით თავის წმინდა მოვალეობას ვერ ასრულებს და არც შეუძლია შეასრულოს, რადგან მასწავლებელი ოცდა ხუთი წელიწადიც რომ ერთსა და იმავე საგანს ასწავლიდეს, მაინც გაკვეთილის მისაცემად ყოველ დღე უნდა ემზადებოდეს, თუ რასაკვირველია, არ გახდა უბრალო ხელოსანი და არ გაიზეპირა სკოლის სახელმძღვანელო. მასწავლებელი ზნეობრივად ვალდებულია ყოველთვის გაკვეთილს დაუკვირდეს და თვალყური ადევნოს ესმის თუ არა მოსწავლეს მისი ნათქვამი. მასწავლებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს თავის საგნის მეცნიერულ მიმდინარეობას: შემდეგ მოსწავლეების რეულებაც, საეუძველიანი გადათვალიერება და გასწორება დიდ დროს და ჯაფას მოითხოვს მასწავლებლისაგან.

მასწავლებელს დიდი და მნიშვნელოვანი ტვირთი აძევს კისერზე და რომელიც ჰღალატობს თავის მოვალეობას და საზოგადო საქმეში ერევა, **მოღალატეა სამშობლოსი,** რადგან ჩვენი სამშობლოს მერმისი დამყარებულია ახალთაობაზე.

კარგია, რასაკვირველია, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მაგრამ იმდენად, რამდენად ეს მოღვაწეობა არ დაუშლის მასწავლებელს, [illegible] უდიდეს მოვალეობის ასრულებას; მაგრამ ვიცით ზოგიერთი მასწავლებელი იმდენად ერთობა საზოგადო მოღვაწეობაში, რომ ავიწყდება თავის დანიშნულება და ახსოვს მხოლოდ ოცში ჯამაგირის მიღება. ვინ გაუბედავს ასეთ „მოღვაწე-მასწავლებელს უთხრას—ჯამაგირი არ გერგება და არც შეგერგებაო!!“

ჩვენი რევოლიუციის ტალღებმა დროებით ბევრი პატიოსანი მასწავლებელი ჩამოაშორა სკოლას; ეს მასწავლებლები გრძნობდნენ თავის ყალბ მდგომარეობას სკოლაში და სწუხდნენ სულით და გულით, მაგრამ ამავე დროს გრძნობდნენ რომ რევოლიუციის ღალატიც შეუძლებელი იყო; ამისთანა პატიოსან მასწავლებლის წინაშე ქედს ვიხრით და მათ დროებით საზოგადო მოღვაწეობაში გატაცებას ვეგებებით, მხოლოდ საქმე იმაშია, თუ როგორ მოიქცევიან ეს პატიოსანი მოღვაწენი ახლო მომავალში?

მე კი პირადად ვიტყვი—ან მთლიანად საზოგადო მოღვაწეობა, ან მასწავლებლობა, რადგან მასწავლებელს არ ძალ-უძს ღამის ორ საათამდე ჯდომა კოლექტივში და შემდეგ რვა საათზე გაკვეთილზე მისვლა და თუ მივა—ვაი იმ მისვლას და ვაი იმ გაკვეთილს!

იქნებ მკითხოთ—მშობლები. რაღას აკეთებდნენ? მშობლები მარტო იმაზე ფიქრობდნენ რომ მათი „გვრიტები“ ამ აუტანელ სიძვირეში კლასში არ დარჩნენ. თვალით ხედავდნენ სკოლის დაქვეითებას, მაგრამ შვილების და რევოლიუციონერ მასწავლებლების შიშით ხმას ვერ იღებდენ. შვილებმა და ქუჩის ბმირებმა ალაგმეს მშობლები; თუ ერთი რომელიმე გმირი მშობელი ეტყოდა შვილებს: „ქმარა რეგვენობა, სწავლას მიჰყეთ ხელიო“, ასეთი გმირი მშობელი, რევოლუციის გაღრმავებელთაგან ჯილდოვდებოდა ხულიგანის სახელით.

(დასასრული იქნება)

მ. ზაალიშვილი.

სახელმწიფო შეგრივ მოღვაწეობისათვის

თუმც გამოუცდელნი ვართ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის, მაგრამ მაინც არსებობს მოქმედებათა ერთი განსაზღვრული რგოლი, რომელიც კატეგორიულის იმპერატივით ევალება ყოველს მოქალაქეს, სახელმწიფოს წინაშე თვისი მდგომარეობით ოდნავად მაინც პასუხის მგებელს.

გარდა ცოდნისა, ძლიერი ინტერესისა, საჭიროა კიდევ ერთგვარი ინსტიქტი, აღლო, რომელიც მოღვაწეს უადვილებს, ხელს უწყობს თვისი მოღვაწეობისას სახელმწიფოებრივ ასპარეზზე და რომელიც ყველას ერთგვარის ზომით არ ექნება. საზოგადოება ამ ინტუიციურ თვისებას ნიჭს უწოდებს. ეაგრამ არის მთელი რიგი სახელმწიფოებრივი საქმეებისა, რომელნიც არ თხოულობენ მაინცადამაინც დიდს ნიჭს, მაგრამ მით უფრო დაკვირვებას, წინასწარ გათვალისწინებასა და ანგარიშიანობას. რომის სენატი თავის დღეში არ ყოფილა ნიჭიერებით განთქმული, მაგრამ მისი ძლიერება იყო სწორედ ეს მისი გონივრული აწონდაწონვა, დაკვირვება, ანგარიშიანობა.

აი, სწორედ აგეთი რამ აკლია ჩვენს სახელმწიფო მექანიზმის ზოგიერთ ბორბლებს. აი, ერთი მაგალითი.

20 აგვისტოს მიღებულ იქმნა კანონი შესახებ თამბაქოზე აქციზის გადიდებისა. ეს ყველასათვის ცნობილია და მაშინაც, იმ დღესვე ცნობილი იყო, მეტადრე იმ ჯგუფისათვის, რომელიც თვისი საქმიანობით პირდაპირ დაკავშირებულია თამბაქოს ოპერაციებთან. როგორც კი გაიგეს დაინტერესებულ წრეებში ამ კანონის პროექტათ არსებობა, თამბაქოთი მოვაჭრეებმა საშინელის სისწრაფით ააჩქარეს ფაბრიკებში თავიანთი დანაკვეთის დამზადება, რომ მოესწროთ ფაბრიკანტის ქარხნიდან გატანა კანონის საბოლოოთ მიღებისა და საფინანსო სამინისტროში გადაცემამდე. თვით მექარხნეებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რადგან აგეთის ელვის სისწრაფით დიდი რაოდენობის დამზადება მათთვის თითქმის შეუძლებელი გახდა. რომ არ ვიანგარიშოთ დრო ხსენებულ კანონპროექტის შეტანისა და მისი ოფიციალათ მიღების შორის, რაც კიდევ წარმოადგენს კარგა ხანს, თვით მისი მიღებისა 20 აგვისტოს და მისი ფინანსთა მინისტრის სამდივნოში გადაგზავნამდე აგვისტოს ბოლოს, მთელმა ათმა დღემ განვლო, რომლის განმავლობაში სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ დღეში 100.000 მან. სულ კი ერთი მილიონი მან დაეკარგა მთავრობას სააქციზო გადასახადიდან.

სამაგიეროდ ვინ ისარგებლა, თუ მთავრობამ დაკარგა? არც ჩვენმა მომხმარებელმა, რადგან ქარხნებიდან ესეთის სიჩქარით გატანილი საქონელი უმეტესათ მიეშურებოდა საზღვარგარეთ: ადერბეიჯანისა და არარატის რესპუბლიკაში, სადაც საოკარი სიმშილობაა თამბაქოსი, რადგან არც ერთ ხსენებულ რესპუბლიკაში არც ერთი ქარხანა არ არსებობს, ბაქოს ქარხანა კი არ მუშაობს. ამ გარემოებით უფრო ისარგებლეს უცხო ტომის შუამავალმა ვაჭრებმა, ვიდრე მთავრობამ.

მთელი ათი დღე კანონი იყო საბჭოს სარედაქციო კომისიაში თუ სხვ. და თამბაქო კი ძველს აქციზში გადიოდა მომეტებულის სისწრაფით საზღვარ-გარეთ, მინამ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დროებით არ შეაჩერეს ეგ პროცესი.

მთავრობამ, ეროვნულ საბჭოს ყველა კომისიებმა და სხვა პასუხის მგებელ წრეებმაც მეტის სიფრთხილითა და წინდახედულებით უნდა მოეპყრან საკითხებს და საჭირო გარემოებებში უფრო მკვრცხლად უნდა აამუშაონ მოქმედების აპარატი.

ტ. მ.

მიწის მესაკუთრეთა და მეურნეთა კავშირი

კვირას, 15 ენკენისთვეს, თბილისში შესდგა მიწის მესაკუთრეთა და მეურნეთა კრება, პროფესიონალ კავშირის შესადგენად.

ამ სხდომის სამი დღის წინ ინჟენერის გ. ანდრონიკაშვილის მიერ გამართულ იქმნა კერძო თათბირი, სადაც წინასწარ უნდა განხილულ ყოფილიყო კავშირის გამგეობის საკანდიდატო სია. ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა დამსწრეთ გააცნო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოყოფილ პირთა ვინაობა და ურჩევდა, რომ კავშირი თავის მომავალ მოქმედებაში დაყრდნობოდა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემ. იმ ჯგუფს, რომელშიაც არიან მიხეილ მაჩაბელი და მისი თანამოაზრე ვაჩნაძე, ვეშაპელი და გაბაშვილი, რადგან ამათ დასტოვეს „მატყლით და სოდით მოვაჭრე სპეკულიანტ ხოშტარიას პარტია“ და იქნებიან ნამდვილი დამცველნი მიწის მესაკუთრეთა და მეურნეთა. უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებდა. ერთმა დამსწრეთაგანმა პირდაპირ განაცხადა, ეს პირნი არიან არა გამოსულნი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან, არამედ განდევნილნი დისციპლინის დარღვევისათვის და ყოვლის გარეშე, ტაქტიკურის მოსაზრებით უხერხულია კავშირის პირველ გამგეობაში ისეთ პირების გაყვანა, რომელნიც სრულებით გარიყულნი არიან და რომელთაც არავინ მხარს არ უჭერს. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მაჩაბლის და მისი ჯგუფის კანდიდატურა უარყოფილ იქმნა.

15 ენკენისთვეს შემდგარ ოფიციალ კრებაზედ კავშირის წესდების შესახებ მომხსენებლათ გამოვიდა გრიგოლ ვეშაპელი.

წესდების დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა გამგეობის არჩევნებს. ერთმა დამსწრეთაგანმა ბ. ბეჟ. ხერხეულიძემ წარმოადგინა ცალკე ჯგუფში შემდგარი სია, რომელშიაც წარმოდგენილი იყვნენ, მხოლოთ პროფესიონალი მეურნენი. ეს სია უკამათოთ იქმნა დამტკიცებული. იქ დამსწრე ვეშაპელი, ვაჩნაძე და ქარუმიძე მეტათ უხერხულად გრძნობდენ თავს, რომ მათი იმედები არ გამართლდა და მათი ჯგუფიდან არავინ არ იქმნა არჩეული გამგეობაში. ერთმა „დამოუკიდებელთაგანმა“ ითხოვა სიტყვა და განაცხადა, რომ მეურნეთა კავშირმა თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ მშრომელი გლეხკაცობაც, რომელიც მაგალითად იმერეთში სავსებით დაირაზმება ამ კავშირის ხელმძღვანელობით და ამ მიზნით თვით გამგეობაშიც ამ წრის წარმომადგენლობაც სავსებით უნდა იქნეს დაცული. ამ ორატორის წინადადების წინააღმდეგი კრებაზედ არავინ ყოფილა, ხოლო არ იცოდენ კონკრეტიულათ როგორ უნდა ყოფილიყო იგი მიღებული, როდესაც კრებას ამ წრიდან არავინ დასწრებია. მაჩაბლის ჯგუფის ზოგიერთ თანამოაზრეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა გრ. ვეშაპელის კანდიდატურა, რომელშიაც ერთის მხრით გლეხთაგან გამოსული პირის და ამასთანავე ეროვნულ საბჭოს წევრის, რომელიც საბჭოშიც დაიცავს კავშირის ინტერესებს. კრებამ მოიწონა ეს წინადადება და განაცხადეს რომ გრ. ვეშაპელი მიღებულ იქმნება კავშირის გამგეობაში კოოპტაციის წესით.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დამატებითი მუხლები

ოფიციალურ გერმანულ „ნორდ-დეიჩე ალგემეინე ცაიტუნგ„-ში გამოქვეყნებულია ვრცელი „არა-ოფიციალური“ ცნობა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის დამატებითი მუხლების ბესახებ.

პირველი მუხლი ეხება უმთავრესად რუსეთის ყოფილ განაპირა ქვეყნებში ახლად დაარსებულ სახელმწიფოებს.

ასე მაგალითად, ესტლიანდია და ლიფლიანდია უერთდება კურლიანდიას, მაგრამ ამასთანავე რუსეთის საბალტიის ზღვასთან სავაჭრო გზების უზრუნველყოფით და თავისუფალი ნავთსადგურის შექმნით.

საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნულ თვით-გამორკვევის პრინციპს, გამოქვეყნებულს საბჭოთა მთავრობის მიერ, აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. კავკასიის სხვა სახელმწიფოების და აგრეთვე ყირიმის შესახებ გაზეთში არაფერია ნათქვამი.

რადგანაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბაქოს, როგორც ნავთის სამრეწველო ცენტრს და საჭიროა მისი შენახვა და გადარჩენა, ორივე მხარე არ სცნობს შესაძლებლად, რომ ეს ნაწილი კავკასიისა რუსეთს ჩამოშორდეს. საბჭოთა მთავრობა სიტყვას იძლევა დაუთმოს ნაწილი ნავთისა გერმანიას და მის მოკავშირე სახელმწიფოებს. სამხედრო მდგომარეობის განხილვის დროს, რომელიც შეიქმნა, როგორც გაზეთი ამბობს, იმის გამო, რომ ზოგიერთი განაპირა ქვეყნები იხმარებდნენ გერმანიის ჯარებს თავისი სახელმწიფოების დასამყარებლათ და შინაური ანარქიის ჩასაქრობად, და იმ კონფლიქტების განხილვის დროს, რომლებიც ხდებოდა ზოგჯერ ჯარების მიერ საბჭოთა მთავრობის ბრძანების უარყოფით და არ შეუსრულებლობით მოხდა შეთანხმება ამ კონფლიქტების შესახებ და რუსეთი უზრუნველყოფილი იქნა საზავო ხელშეკრულობის სამხედრო პირობათა საკმაოდ შემსუბუქებით. რაც შეეხება გერმანიის მიერ დაკავებულ ოლქებს უკრაინის აღმოსავლეთით, აქ ყოველგვარი საჭიროება ველიკროსიის ეროვნებისა ადგილობრივ ნაწარმოებში გახდება საგნად ცალკე ადგილობრივი შეთანხმებისა.

მეორე მუხლი აწესრიგებს გერმანეთ-რუსეთის ფინანსიურ ურთიერთობას და ბანკის ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას. რუსეთი მოვალედ სთელის თავს, გადაუხადოს გერმანიას 6 მილიარდი მარკა ზარალის ასანაზღაურებლად, 1 მილიარდი მარკა აქედან ერგება უკრაინასა და ფინლიანდიას. კითხვა წარმოებების და უძრავ ქონებათა სოციალიზაციის შესახებ გადაიჭრა ისე, რომ გერმანიის ქვეშევრდომთ აუნაზღაურდებათ ყველა ის ზარალი, რომელიც მათ ამით მოუვათ, ხოლოდ უარყოფილი იქმნა შესაძლებლობა გერმანიის სასარგებლოდ კანონების შეცვლისა.

აღიარებულ იქმნა ნაციონალიზაცია კაპიტალების იმ პირობით, რომ დამოკიდებულება როგორც უცხოელების, ისე რუსების მიმართ ერთნაირი იყოს. მხოლოდ გერმანიის ქვეშევრდომთ ეძლევათ უფლება ზარალის ანაზღაურებისა, თუ ყოველ კერძო შემთხვევებში ეს უფლებანი დადასტურებულ იქნება უპარტიო ინსტანციის მიერ. უარყოფილ იქმნა განსაზღვრა ბანკის კაპიტალებით სარგებლობაში იმ პირობით, თუ დამტკიცდა ის ფაქტი, რომ ამა და იმ გერმანულმა წარმოებამ თავისი მოქმედება დაიწყო 1918 წლის 1 ივლისამდე. ბოლოს, მემკვიდრეობის უფლების გარკვევის დროს ორივე მხარემ გადასწყვიტა, ძალაში დარჩეს 1874 წელში დადებული რუსეთ-გერმანიის დამატებითი კონვენცია.

მესამე მუხლი, რომელიც აწესრიგებს კერძო უფლებრივ სამოქალაქო ურთიერთობას, ეხება ჩეკებისა და ვექსილების საკითხს, ვალიუტის ოპერაციებს, სამრეწველო დაცვას და გაცემათა ვადას, გერმანიას და რუსთა შორის კერძო-უფლებრივ საკითხის გასარჩევად არსდება ორი საერთაშორისო სასამართლო მოსკოვსა და ბერლინში, საცა შევლენ თავმჯდომარედ გერმანელი, ერთი რუსი და ერთიც გერმანელი მოსამართლე. ამ სასამართლოების დადგენილებებს ექნებათ საბოლოო ხასიათი.

† ანტონ ქუთათელი

ივერიის ეკლესიამ სულ მცირე დროის განმავლობაში დაჰკარგა ორი თვალსაჩინო არქიელი: პატრიარქი კირიონის განსვენების სამი თვის შემდგომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ჯან-ღონითა და ენერგიით სავსე ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

შესვენებული ქუთათელი არ ეკუთვნოდა საეკლესიო მოღვაწეთა იმ წრეს, რომელნიც იღწვიან უაღრესად სამწყალო-სამეცნიერო ასპარეზზე; ანტონ მიტროპოლიტი ცნობილია, როგორც პრაქტიკული მოღვაწე და პირველხარისხოვანი გომილეტიკი. მშვენივრად მცოდნე ქართული ენისა და საეკლესიო და საერო ლიტერატურისა, დაჯილდოვებული უხვად ორატორული ნიჭით, გარდაცვალებული მიტროპოლიტი დიდს შთაბეჭდილებას სტოვებდა ქადაგებებით.

მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების ხანაში ყველასაგან აღნიშნულია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი და კათოლიკოსის მოსაყდრის თბილელ მიტროპოლიტი ლეონიდის თავდადებულ მუშაობამ შედარებით უმტკივნეულად მოახდინა დიადი აქტი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის განთავისუფლებისა.

ეკლესიის დამოუკიდეგლობის გამოცხადების უმალვე განსვენებულს დაეკისრა მეტად მძიმე საქმე, რათა პეტერბურგის დროებითი მთავრობა დეთანხმებინა გამოეცა შესაფერი მანიფესტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე. გულწრფელი და დაუღალავი მისი მოქმედება დამთავრდა გამარჯვებით და რუსეთის მთავრობა იძულებული იყო გამოეცა დეკლარაცია, რომელშიაც მცხეთის აქტი მოხსენებულია, როგორც „დიდებული აქტი საქართველოს ეკლესიის თვითგამორკვევისა“.

და თავისუფალმა ეკლესიამაც ნიშნად მადლობისა და სიყვარულისა მხნე მოღვაწე აღიყვანა უდიდეს ქუთათელის კათედრაზე.

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა სიცოცხლით აღსავსე ადამიანს განეგრძო „კეთილი მწყემსის“ მოვალეობა.

უდროოდ გარდაცვალებულ ქუთათელს უზომო სიყვარულით მოიგონებს ყველა, ვისაც ახარებს ივერიის ძველის-ძველ ეკლესიის კეთილდღეობა.

კორესპონდენციები

გურიაში

უკანასკნელი წლები გურიისაათვის მეტად საზარალო გამოდგა იმ მხრივ, რომ ხალხის სიმშილს ნაოულიო ომის მიზეზებით საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ უკანასკნელ ხანში ოსმალეთის შემოსევამ და ოზურგეთის მხარის დარბევამ ყოველივეს გადააჭარბა. თქვენის თვალით უნდა ნახოთ სახე დაღვრემილი ხალხი, რომ მთელი სიღრმით წარმოგიდგეთ ის უბედურება, რომელშიაც ისინი არიან ჩაცვივნულნი. ქერი და მცირეოდენი სიმინდი, რომელიც ძალიან პატარა რაციონად რამდენჯერმე მუქთად დაურიგეს და შემდეგ კი ფასს ახდევინებენ, მცხოვრებთა მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს. „შიმშილი“, გაიძახის ყველა და ლობიოს ფქვილით გამომცხვარ პურს აწევინებენ მჭადისა და ნამდვილი პურის მაგიერობას. და ეს საშინელება უფრო გამწვავდება მომავალ წელს, რადგან ახლანდელი მოსავალი არარაა. მართალია სიმინდის ყანა გარეგნობით საამო სანახავია, მაგრამ იშვიათად ნახავთ, რომ ერთ ძირს ორი ან სამი ტარო ებას. ესეც რომ არ იყვეს, ლტოლვილობიდან დაბრუნების შემდეგ, ე. ი. თიბათვის შუა და ბოლო რიცხვებში დათესილმა სიმინდმა რა სარგებლობა უნდა მოიტანოს! მისი მოჭრა, კარგი დარებიც რომ იყვეს, ღვინობისთვის ბოლომდე არ შეიძლება, — და ვინ არ იცის, რომ ამ დრომდე ამინდები არ მოაცლიან და სიმინდი გახმობამდის მოიწვის და გაფუჭდება... აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს ოზურგეთის მხარე, და ამას რომ მიუმატოთ ისიც, რომ სიმინდი ბაზარზე 14—15 თუმნათა ღირს და ხალხს მისი შეძენა ეძნელება, თამამად იტყვით, რომ მცხოვრებთ ეპიდემიური შიმშილი ეწიათ.

—

როგორც სხვაგან, აქაც მოხდა საერობო არჩევნები. სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების საარჩევნო ხრიკები ვიცოდი, მაგრამ მაინც მიკვირდა, ამდენ ხმებს როგორ იღებენ მეთქი. მაგრამ როდესაც გავიცანი, მაგალითად, სოფ. დვაბზეში მომხდარი არჩევნები, მათი „იდეური“ ბრძოლის მეთოდიც უფრო აშკარა გახდა. შეიძლება ითქვას, რომ კენჭის ყრა იქ არ იყო ფარული: საარჩევნო ოთახში მაგიდაზე აწყვია პარტიათა ბიულეტენები, კომისიაც იქვე ზის, ამომრჩეველი შემოდის უკონვერტოდ, იღებს მისთვის „სასურველ“ ბიულეტენს და უკონვერტოდვე აგდებს ცოტად მოშორებულ ყუთში. ეჭვი არ არის, სოფლელები, რომლებიც ჰხედავენ, თუ კომისიის წევრთ როგორ დაუბღვერიათ თვალები, თუ როგორ ხელითა და თვალებით აჩვენებენ პირველი ნომრის აღებას, ან და ეუბნებიან, აიღე. რომელიც გინდაო და ხელში კი პირველ ნომერს აჩეჩებენ, ასეთ მდგომარეობაში ვეღარ გაბედავენ სხვა ბიულეტენის ჩაგდებას. და ასეთი წესით არჩევნების მომწყობნი მაშინათვე დეპეშებს აფრენენ ხოლმე, გავიმარჯვეთო. მაგრამ ვსთქვათ, ვითომ ეს არაფერი, — რასა ჰგავს ის აგიტაცია, რომელსაც ისინი ეწევიან!.. არჩევნების წინა დღეს ამავე სოფელში იყო წარმოდგენა. ხალხის შეკრებას სარგებლობს ცნობილი ვიქტორ ღლონტი და ამბობს ვეება სიტყვას, რომელშიაც ლანძღავს, მიწასთან ასწორებს, კონტრ-რევოლიუციონერებსა და მოღალატეს, ერის გამყიდველს უწოდებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ამ ფაქტს ორი მხარე აქვს: რა ადგილი აქვს წარმოდგენის დროს ასეთს შხამს, რისთვის არის საჭირო მოწინააღმდეგის დაუსწრებლად სოფლელებში ასეთი გამოსვლები? ეს ერთი, და მეორეც, — ვინ გვეძახის მოღალატესა და ერის გამყიდველს, ვინ არის ვიქტ. ღლონტი?.. ეს ოზურგეთის ის ცნობილი ქალაქის თავია, რომელმაც საგმირო საქმეებით გაითქვა სახელი: ოსმალთა შემოსევის წინ ოზურგეთელებს ამშვიდებდა, ნუ გეშინიანთო და თავის ოჯახი კი თავშესაფარად გაისტუმრა; ნურსად წახვალთ, ნუ დაიმალებითო და თვითონ კი გაიპარა; მან ზნეობრივად ულალატა მათ, ვის საპატრონოთა და მფარველად უნდა გამოსულიყო, — ამ დროს კი თვითონ სხვა ქალაქებში დაბრძანდებოდა... ეს ის ვიქტ. ღლონტია, რომლის ასეთი თავისავე პარტიულ ამხანაგებმა დაჰგმეს... და ასეთი პირი სხვაში ჰხედავს მოღალატეობას. ასეთია თურმე ცხოვრების წესი. ასეთი ნაბიჯები ყოფილა საჭირო „გასამარჯვებლად“. მაგრამ, ვაი მათ, რომ ხალხი თანდათან იგებს მათს მამულიშვილობას — და შორს არ არის ის დრო, როდესაც მოტყუებულთა ლოდინი გადმოსკდება და მომტყუებლებს თავის ადგილზე გარიყავს...

ამის სიმპტომები კი არის...

მიხ. კიაზოშვილი.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9 10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა

ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 5 სექტემბრის დადგენილებისა, **15 ენკენისთვიდან ისპობა განაღდება ყოველნაირი „ასიგნოვკების“** და **ჩეკებისა,** რომლებიც მიცემული ჰქონდათ ყოფილ კავკასიის და ამიერ-კავკასიის ფრონტის დაწესებულებათა გამგეობის და სამხედრო-საზღვაო ორგანიზაციების იმ ნაწილების მოხელეთ, სადაც ლიკვიდაცია მოხდა, მათი წარსული სამსახურის გამო დახმარების მისაცემათ და ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული რიცხვიდან ფულის ასეთი საბუთების მქონეთ მიეცემათ შესაფერი დაწესებულებიდან მხოლოდ მოწმობები, რომ ასეთი პირები ითვლებიან რუსეთის სახელმწიფოს კრედიტორებად.

ზემოაღნიშნული ფულის საბუთები, რომლებიც 15 ენკენისთვიდან შეტანილ იქნებიან განსაკუთრებულ სალიკვიდაციო განყოფილებაში, განხილულნი არ იქნებიან.

მთავარი გამგე განსაკუთრებული სალიკვიდაციო განყოფილების (ან მისი მოადგილე) მთხოვნელებს მიიღებს ყოველ დღე უქმეების გარდა 10—12 საათამდე ფინანსების სამინისტროს შენობაში (გოლოვინის პროსპექტი, 22), მთავარი გამგე დ. აბხაზი. (1—4)

ეიმეხმარებელ საზოგადოების „დახმარებას“

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია სამშაბათს, ღვინობისთვის 1-ს (ახალის სტილით), საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში.

კრების წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ;
2. 1917 წლის ანგარიში და მოგების განაწილება.
3. 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა;
4. მორიგი საქმეები (სხვათა შორის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა).
5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

კრებაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმათ, ვისაც, თანახმად 1918 წ. აპრილის 4-ის კრების დადგენილებისა, წარმოდგენილი აქვთ 55 მანეთი საწევრო გადასახადი და პაის ფული და წევრებად მიღებულნი გამგეობის მიერ. უკეთუ დანიშნული კრება ღვინობისთვის 1-ს ვერ გაიმართა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, იმ შემთხვევაში კვირას, ღვინობისთვის 13-ს (ახალის სტილით), იმავ ადგილს გაიმართება **მეორე საზოგადო კრება,** რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

უწყებები არც ერთ კრებისთვის არ დაიგზავნება.

1917 წლის ანგარიში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ გამოფენილია საზოგადოების ორსავ მაღაზიაში და საზოგადოების წევრებს შუდამ შეუძლიანთ მისი წინასწარი განხილვა, აგრედვე ყოველგვარ ცხობების და საბუთების და წიგნების წარდგენის მოთხოვნა გამგეობის კონტორაში. 1—1000—4

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გამგებლობის ქვეშ ყოფი კომერციულ ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოლიანისა

ქალთა და ვაჟთათვის

(თბილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელეფონი № 976)

თხოვნების მიღება 10—12 და 5—7 საათამდის. სწავლის დასაწყისი 15 ენკენისთვის. პროგრამების შეძენა შეიძლება კურსების კანცელარიაში. 30 კაპ. 10—9

ვეკეგ

ოკრ ოთახს, ან ერთს

კარგად გაწყობილს, ელექტრონის განათებით, გოლოვინის პროსპექტის რაიონში. მისამართი „საქართველოს“ რედაქციაში. ტელეფონი 15—73, 11 საათიდან 1 საათამდე, ლ. ჯაფარიძეს. 3—4

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

ძირ. და ქალთა სნეულების

სანატორიუმი

საამოთბიანი გაანყოფილებ

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძე

ბერიკოლიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. ბ. მაკინარიშვილის და დ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნური კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება — საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმ დონსკოინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

ტ. 1536 50

ფიქრობენ ფიდგეტინა

მოსე ანტიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.